20.03.2026

კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისი, გაზაფხულის ქუჩა #10
ს/კ: 01.14.15.001.074

ექსპერტი:
დავით თავაძე

თბილისი 2026 წელი

ექსპერტი: დავით თავაძე
მობ. ნომერი: +995 598 506 955
მისამართი: ქ.თბილისი, პ.ქავთარაძის №5, 9-ე სართული
ელ. ფოსტა: daviti.tavadze@gmail.com

თარიღი: 20/03/2026

კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, გაზაფხულის ქუჩა #10 -ში (ს/კ: 01.14.15.001.074) ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციულ პროექტსა და კომპიუტერულ საანგარიშო მოდელზე

დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე შესაფასებელია ქ. თბილისში, გაზაფხულის ქუჩა #10 -ში (ს/კ: 01.14.15.001.074) ასაშენებელი მრავალბიანიანი საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული პროექტისა და შენობის კომპიუტერული საანგარიშო მოდელის შესაბამისობა ქვეყანაში მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებთან მიმართებაში.

კონსტრუქციული დასკვნის მოსამზადებლად გამოყენებული იქნა შემდეგი მასალები:

1. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატი), რომელიც დამუშავებული იქნა **შპს „გეოლოგიური მომსახურება“ -ს** ინჟინერ-გეოლოგების მიერ 2024 წელს.
2. ასაშენებელი შენობის არქიტექტურული პროექტის ელექტრონული ვერსია (DWG და PDF ფაილები);
3. ასაშენებელი შენობის მონოლითური რკინაბეტონის მზიდ კონსტრუქციათა ტექნიკური გადაწყვეტები. მათ შორის, საძირკვლის კონსტრუქციები, სვეტების, კედლების, დიაფრაგმების, კიბეების და სართულშუა გადახურვების კონსტრუქციათა სამონტაჟო სქემები და მათი კვანძები, აგრეთვე კონსტრუქციების საყალიბე და ბეტონის მზიდი ელემენტების დაარმირებისათვის საჭირო საშემსრულებლო ნახაზები, მათი შემაერთებელი კვანძების გადაწყვეტის ტექნიკური დოკუმენტაცია.
4. ასაშენებელი შენობის კომპიუტერული საანგარიშო მოდელების ელექტრონული ვერსია (lir ფაილი).

ასაშენებელი შენობის გეგმარებითი პარამეტრების აღწერა:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შედგება სადეფორმაციო ნაკერით ერთმანეთისგან სრულად გამოყოფილი ორი ბლოკისგან. 23 სართულიანი და 5 სართულიანი ბლოკებისგან.

შენობის მაქსიმალური ზომები ღერძებში შეადგენს 53.55 X 29.40 მ.
მაქსიმალური მალი ღერძებში - L=8.10 მ; სართულის მაქსიმალური სიმაღლე - H=3.30 მ; შენობა. კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი მონოლითური რკინაბეტონის კარკასული სისტემა დიაფრაგმებით

საპროექტო შენობის აბსოლუტურ ნიშნულს **+508.77 მ** შეესაბამება შენობის პირველი სართულის იატაკის ნიშნული (არქ. – 3.30 მ)

ასაშენებელი შენობის ძირითადი მზიდი რკ.ბ-ის კონსტრუქციული ელემენტების ზომები:

- მონოლითური რკ/ბ-ის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები: Ø1200 მმ, Ø800 მმ.
- მონოლითური რკ/ბ-ის საძირკვლის ფილა: h=1200 მმ, h=600 მმ.
- მონოლითური რკ/ბ-ის სვეტები: 600x1300 მმ, 600x1200 მმ, 500x1200 მმ, 600x1000 მმ, 500x1000 მმ, 600x800 მმ, 500x800 მმ, 500x700 მმ, 500x600 მმ.
- მონოლითური რკ/ბ-ის დიაფრაგმები: h=400 მმ, h=300 მმ.
- მონოლითური რკ/ბ-ის გადახურვის ფილები: h=200 მმ, h=300 მმ, h=330 მმ.
- მონოლითური რკ/ბ-ის რიგელები: bxh=500x500 მმ, bxh=400x500 მმ, bxh=300x500 მმ, bxh=500x600 მმ.
- მონოლითური რკ/ბ-ის კიბის ბაქნები და პანდუსები: h=200 მმ.
- მონოლითური რკ/ბ-ის საავტომობილო პანდუსი: h=300 მმ.

ექსპერტი: დავით თავაძე
მობ. ნომერი: +995 598 506 955
მისამართი: ქ.თბილისი, პ.ქავთარაძის №5, 9-ე სართული
ელ. ფოსტა: daviti.tavadze@gmail.com

შენობის ყველა მზიდ კონსტრუქციაში გამოყენებულია მძიმე ბეტონი კლასით B35. ხიმინჯებში, საძირკვლის ფილებში, პერიმეტრის დიაფრაგმებში და გრუნტთან შეხებაში მყოფ ყველა კონსტრუქციაში B35 კლასის ბეტონში დამატებულია წყალშეუღწევადობის W8 მარკა.

კონსტრუქციული პროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით შენობის გარე შემომფარგვლელი კედლები და შიდა ტიხრები განხორციელებულია თანამედროვე ტექნოლოგიებით დამზადებული ცეცხლმედეგი წვრილი საკედლე ბლოკებით, რომელთა მოცულობითი წონა არ აღემატება 1100კგ/მ³.

პროექტში გათვალისწინებულია პანდუსისა და ავტოსადგომის ფილის მოწყობა. აღნიშნული ფილები ემთხვევა სადემონტაჟო შენობის შესანარჩუნებელ კონსტრუქციულ ნაწილს. პროექტით გათვალისწინებულია არსებული შენობის ბალასტით ან ღორღით შევსება, ბალასტისთვის ან ღორღისთვის ტკეპნის კოეფიციენტად განსაზღვრულია 0,98, დეფორმაციის მოდული E=3000 ტძ/მ², შიგა ხახუნის კუთხე 30°.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სადემონტაჟო შენობის შესანარჩუნებელი ნაწილი არ უქმნის საფრთხეს პანდუსისა და ავტოსადგომის ფილის მოწყობას.

შენობის დაფუძნების პირობები:

სამშენებლო მოედნის გეოტექნიკური აგებულებიდან გამომდინარე შენობის დაფუძნება გადაწყვეტილია დგარი მონოლითური რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების მეშვეობით, რომლებიც ჩაანკერებულია ძირითად კლდოვან ქანში - II ს.გ.ე. (ფენა №3) - სუსტად გამოფიტული ქვიშაქვების და გამოფიტული არგილიტების მორიგეობა. II ს.გ.ე.-ის (ფენა №3) ნორმატიული სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში შეადგენს R_c = 85.07 კგძ/სმ$_2$, დეფორმაციის მოდული შეადგენს E = 19000 კგძ/სმ$_2$. II ს.გ.ე.-ში (ფენა №3) Ø1200 მმ ხიმინჯები უნდა ჩაანკერდეს არანაკლებ 5000 მმ-ით, ხოლო Ø800 მმ ხიმინჯები - არანაკლებ 2500 მმ-ით. Ø1200 მმ ხიმინჯები ერთმანეთთან დაკავშირებულია h=1200 მმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილით, ხოლო Ø800 მმ ხიმინჯები - h=600 მმ სისქის საძირკვლის ფილით. ხიმინჯების სიგრძეები უნდა დაზუსტდეს ადგილზე ძირითადი კლდოვანი ქანების (II სგე) გავრცელების შესაბამისად და საანკერო სიგრძის მოთხოვნის დაცვით. ადგილზე ძირითადი კლდოვანი ქანების (II სგე) გავრცელების რეალური ნიშნულის მიწის ზედაპირთან სიახლოვის მიუხედავად, ხიმინჯები მოეწყოს არანაკლებ იმ სიგრძეებით, რომლებიც კონსტრუქციულ ნახაზებზეა მოცემული, აქედან გამომდინარე ხიმინჯების სიგრძეების დაზუსტება განხორციელდეს მხოლოდ მათი შესაძლო დაგრძელების კუთხით. საძირკვლის ფილის ქვეშ გათვალისწინებულია 200 მმ სისქის სრულად დატკეპნილი მდინარის ხრეშის მომასწორებელი ფენის და B15 კლასის ბეტონის 100 მმ სისქის ბეტონის მომზადების მოწყობა.

გეოლოგიური დასკვნის მიხედვით სამშენებლო მოედანი ხასიათდება გრუნტის წყლების არსებობით. მიწის ზედაპირიდან გრუნტის წყლები გამოვლენილი იქნა 1.5 – 3 მ-ის დიაპაზონში.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში MSK64 სკალის მიხედვით (A=0.17); გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - II;

სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - 85 კგძ/მ2 (15 წლიანი განმეორებადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგძ/მ2 (14 დღე - თოვლის საფარის დღეთა რიცხვი).

კონსტრუქციული დასკვნის მომზადებისას შემოწმებულ იქნა კომპიუტერული საანგარიშო მოდელი და მუშა ნახაზები. კომპიუტერული საანგარიშო მოდელი (სასრულ ელემენტთა მოდელში) გადამოწმებულ იქნა სტატიკური და დინამიკური დატვირთვების მნიშვნელობები, მათი შეხამებები და შედარებულ იქნა შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტაციასთან. შემოწმებულ იქნა მიღებული შედეგები და მთლიანად შენობის მოდელის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა.

შენობის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზისას და კონსტრუქციული პროექტის მომზადებისას გამოყენებული იქნა შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები:

1) პნ 01.05-08 ,,სამშენებლო კლიმატოლოგია''
2) პნ 01.01-09 ,,სეისმომედეგი მშენებლობა''
3) პნ 03.01-09 ,,ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები''
4) პნ 02.01-08 ,,შენობისა და ნაგებობის ფუძეები''
5) СНиП 2.01.07.85. «Нагрузки и воздействия»

ასაშენებელი შენობის კომპიუტერული საანგარიშო მოდელის აღწერა:

შენობისა და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების, როგორც ერთიანი სივრცითი სისტემის გადაანგარიშება კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში შესრულებულია სტატიკურ და დინამიკურ (სეისმურ) ზემოქმედებაზე კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის **ЛИРА-САПР 2021**-ის გამოყენებით.

კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში სტატიკური და დინამიკური ზემოქმედებები წარმოდგენილია შემდგეი დატვირთვების სახით:

1. **მუდმივი (სტატიკური) დატვირთვა:** რკინაბეტონის საკუთარი წონა + იატაკის „სენდვიჩის“ წონა + გარე შემომფარგვლელი და შიგა კედლების დატვირთვა).
2. *შენიშვნა: კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში არამზიდი კოსტრუქციების წონები შესულია არქიტექტურულ ნახაზებში ნაჩვენები მასალებისა და მათი სისქეების შესაბამისად დატვირთვების მიხედვით საიმედოობის კოეფიციანტის გათვალისწინებით.*
3. **დროებითი ხანგრძლივი (სტატიკური) დატვირთვები:** *შიგა ტიხრების დატვირთვები*
4. **ხანმოკლე სტატიკური დატვირთვები:**
   ა) დროებითი სასარგებლო დატვირთვები СНиП 2.01.07.85. «Нагрузки и воздействия»-ის მიხედვით.
   ბ) ქარის სტატიკური დავტვირთვები შენობის განივი „X“ მიმართულებით.
   გ) ქარის სტატიკური დატვირთვები შენობის გრძივი „Y“ მიმართულებით.
   დ) თოვლის დატვირთვა;

სეისმური ზემოქმედება კომპიუტერულ მოდელში შესრულებულია სპექტრული მეთოდით სეისმური თვისებების II კატეგორიის გრუნტისთვის 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე, პნ. 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“ თავი II, მუხლი 4 -ის მოთხოვნების შესაბამისად:

ა) სეისმური ზემოქმედება შენობის განივი „X“ მიმართულებით.

ბ) სეისმური ზემოქმედება შენობის გრძივი „Y“ მიმართულებით.

გ) სეისმური ზემოქმედება შენობის დიაგონალური „45⁰“ მიმართულებით.

დ) სეისმური ზემოქმედება შენობის დიაგონალური „135⁰“ მიმართულებით.

საანგარიშო მოდელში შენობის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების არმირებები განხორციელებულია ძალვათა ძირითადი და განსაკუთრებული შეხამებების გათვალისწინებით. სეისმური და ქარის დატვირთვები ძალვათა შეხამების ცხრილში მითითებულია როგორც ურთიერთგამომრიცხავი.

შენობის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზისას მიღებული შედეგები:

23 სართულიანი შენობის საკუთარი რხევის პერიოდები: - T_1=2.58წმ; T_2=2.05წმ; T_3=2.01წმ;

სეისმური ზემოქმედების ანგარიშისას ე.წ ,,მასების მონაწილეობის ფაქტორი - 85%

შენობის ,,დინამიკური პარამეტრების,, განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა საკუთარი რხევის 50 ფორმა.

23 სართულიანი შენობის მაქსიმალური ჰორიზონტალური გადაადგილებები სეისმური ზემოქმედებისას:

შენობის განივი ,, X,, მიმართულებით - 113 მმ;

შენობის გრძივი ,, **Y**,, მიმართულებით - 135 მმ;

5 სართულიანი შენობის მაქსიმალური ჰორიზონტალური გადაადგილებები სეისმური ზემოქმედებისას:

შენობის განივი ,, X,, მიმართულებით - 42.7 მმ;

შენობის გრძივი ,, **Y**,, მიმართულებით - 37.3 მმ;

გაანგარიშებებისა და კონსტრუქციული პროექტის განხილვის პროცესში წარმოქმნილი შენიშვნები:

1. საანგარიშო მოდელში 0,00 ნიშნულზე გასასწორებელია ზოგიერთი სვეტის ლოკალური ღერძები.
2. სასურველია გაიზარდოს შენობის საკუთარი რხევის ფორმები.

დასკვნა:

ასაშენებელი შენობის კომპიუტერულ საანგარიშო მოდელის მიმართ მოყვანილ შენიშვნებს ძირითადად აქვს სარეკომენდაციო ხასიათი, რომლებიც არსებითად არ ცვლის გაანგარიშების შედეგებს და შესაძლებელია ითქვას, რომ არქიტექტურული პროექტის საფუძველზე შედგენილ საანგარიშო მოდელში მიღებული გადაწყვეტები და გაანგარიშებითა შედეგები აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

კონსტრუქციული პროექტი დამუშავებულია მაღალ პროფესიონალურ დონეზე; შენობის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შესაბამისად მზიდი კონსტრუქციული ელემენტების არმირებები, რომელიც ასახულია კონსტრუქციულ პროექტში შეესაბამისობაშია გაანგარიშებით მიღებულ შედეგებთან.

ექსპერტი: დავით თავაძე
მობ. ნომერი: +995 598 506 955
მისამართი: ქ.თბილისი, პ.ქავთარაძის №5, 9-ე სართული
ელ. ფოსტა: daviti.tavadze@gmail.com

თარიღი: 20/03/2026

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გაკეთდეს ერთმნიშვნელოვნად დადებითი დასკვნა, რომ მთლიანად არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტილებათა საფუძველზე შედგენილი კონსტრუქციული პროექტი, როგორც შენობის ასევე არსბულ შენობაზე მოსაწყობი პანდუსის და ავტოსადგომის ფილის, დამუშავებულია ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად; კონსტრუქციული პროექტს ეძლევა ცალსახად დადებითი რეკომენდაცია.

ინჟინერ-კონსტრუქტორი: დავით თავაძე
ინჟინერიის მაგისტრი მშენებლობაში

ექსპერტი: დავით თავაძე
მობ. ნომერი: +995 598 506 955
მისამართი: ქ.თბილისი, პ.ქავთარაძის №5, 9-ე სართული
ელ. ფოსტა: daviti.tavadze@gmail.com

დანართი


ГРАНИЦА ЗЕМЕЛЬНОГО УЧАСТКА

რამპის პანდუსის და აუზტოსაღებმის ზედის სამონტაჟო ბეგმა +6.100 ნიშნულიდან +9.000 ნიშნულამდე
მ 1:100



რეზიუმე



დავით თავაძე

დაბადების ღარიღი: 26.02.1992

მისამართი:
ქ. რუსთავი, ასლანიკაშვილის ქ. N10/13

მობ: +995 598 50 69 55

ელ-ფოსტა:
daviti.tavadze@gmail.com

სამუშაო გამოცდილება

თებერვალი 2016 - დღემდე - შპს "პროგრესი"

თანამდებობა: **კონსტრუქტორი**

ძირითადი მოვალეობები:

- დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
- სასრულ ელემენტთა მეთოდით ნაგებობების გაანგარიშება ქვეყანაში მოქმედი ნორმების შესაბამისად
- კომპიუტერულ პროგრამა Auto Cad -ში ნახაზების მომზადება;
- სპეციფიკაციებისა და მოცულობათა უწყისების მომზადება.
- სამშენებლო მოედანზე საავტორო ზედამხედველობა

2025 წლიდან DLS DESIGN -ის დამფუძნებელი და დირექტორი

შესრულებული პროექტები:

- თბილისი ტექნოლოგიური ინსტიტუტი, (ფართი: 15000 კვ.მ), 2017 წელი.
- „ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი": (ფართი:100 000 კვმ. მეტი) 2018 წელი.
- „ბათუმი რივიერას სასტუმროს კომპლექსი": (ფართი:85 000 კვმ.) 2019 წელი.
- „ენგურის კაშხლის აღმოჩენათა ცენტრი", (ფართი: 8000 კვ.მ), 2019 წელი
- „მზიურის საფეხმავლო ხიდი", 2021 წელი,
- „ონკოლოგიის ცენტრი დიდი დიღომში", (ფართი: 12000 კვ.მ), 2021 წელი,
- „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი გლდანში".(ფართი:50 000 კვმ.), 2021 წელი.

- „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი დიღომში“, (ფართი:15 000 კვმ.), 2021 წელი
- „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონში“

  (ფართი:20 000 კვმ.), 2021 წელი

- „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მარნეულში“
  (ფართი: 9000 კვმ.), 2021 წელი
- „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი დიღომში“
  (ფართი:15 000 კვმ.), 2021 წელი
- „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი უნივერსიტეტის ქუჩა #5 -ში“
  (ფართი:15 000 კვმ.), 2021 წელი
- „სასტუმრო კომპლექსი გუდაურში“
  (ფართი:7 000 კვმ.), 2021 წელი.
- ქ. გორში, ახალპარკის სკეიტპარკი და ფამფთრექი,
  16.11.2020-01.12.2021
- ერთბინინი საცხოვრებელი სახლის პროექტი ვერაზე (ქ. თბილისი ჯაფარიძის ქუჩა)
  2021 წელი
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქუთაისში ლეონიძის ქუჩაძე (ფართი: 10000 კვ.მ)
  2022 წელი
- საოფისე შენობა თბილისში, სააკაძის ქუჩაზე (ფართი: 8000 კვ.მ) 2023 წელი
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი თბილისში, დიდ დიღომში (აღმაშენებლის ხეივანი მე-14 კმ)
- ავერსის კლინიკა რუსთავში, შევჩენკოს ქუჩა #5, (ფართი: 6000 კვ.მ) 2024 წელი
- ავერსის კლინიკა თბილისში, ვაჯა-ფშაველას გამზირი #29, (ფართი: 25000 კვ.მ), 2024 წელი
- საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში, იოსელიანის ქუჩაზე, (ფართი: 7900 კვ.მ), 2024 წელი
- საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში, სამტრედიის ქუჩა #50ა, (ფართი: 35000 კვ.მ), 2024 წელი
- საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირი #24ა, (ფართი: 18000 კვ.მ), 2024 წელი
- მრავალფუნქციური კომპლექსი თბილისის ზღვასთან (თბილისი ბულვარი), ფართი: 200000 კვ.მ, 2024-2025 წელი
- მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი ნაფეტვრებში, ფართი: 164 000 კვ.მ
- თბილისის 23 საჯარო სკოლა (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი), ფართი: 6500 კვ.მ, 2024-2025 წელი
- VR Shekvetili საცხოვრებელის ტიპის აპარტამენტები, (ფართი: 150 000 კვ.მ) – 2025 წელი.

განათლება

2015 -2017 წწ. - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი, მაგისტრატურა (წარჩინებით)
-2011-2015 წწ. – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი, ბაკალავრიატი (წარჩინებით)

ენების ცოდნა

ქართული – მშობლიური

რუსული - კარგად

ინგლისური - კარგად

კომპიუტერული უნარ-ჩვევები

საოფისე პროგრამები - კარგად

Auto-Cad - კარგად

Auto-Revit - კარგად

Tekla Structure - საშუალოდ

LIRA SAPR - კარგად

Georgia

IDENTITY CARD

მოქალაქის პირადობის მოწმობა

საქართველო

GEO



ბარათის No / CARD No

25IA21241

სახელი / FIRST NAME

დავითი

DAVITI

გვარი / LAST NAME

თავაძე

TAVADZE

მოქ. / CIT

GEO

სქესი / SEX

მმ / M

პირადი No / PERSONAL No

35001100700

დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH

26.02.1992

მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY

09.06.2035

ხელმოწერა
SIGNATURE



დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
რუსთავი
RUSTAVI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
09.06.2025
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სსგს; დამამზადებელი: MB-IDS 2025
სემბს-ს რეგისტრაციის № 47-6101

IDGE025IA21241135001100700<<<<
9202265M3506097GEO<<<<<<<<<<<1
TAVADZE<<DAVITI<<<<<<<<<<<<<<<

საქართველო

Georgia

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

Legal Entity of Public Law

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

წარჩინებით
WITH HONOURS

მაგისტრის დიპლომი

Master's Diploma

MD № 001749

სამშენებლო ფაკულტეტის 2017 წლის 15 ივლისის № 14 გადაწყვეტილებით

დავითი თავაძეს მიენიჭა ინჟინერიის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი

მშენებლობაში. სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სპეციალიზაციით

By the decision № 14 July 15, 2017 of the Faculty of

Civil Engineering

Mr. Daviti Tavadze was awarded the Degree of Master of

Construction Engineering

in Specialisation of Civil and Industrial Engineering

სარეგისტრაციო *Registration* № 01754

დეკანი *Dean* — დავით გურგენიძე *David Gurgenidze*

თბილისი *Tbilisi* 10 (რიცხვი/*Day*) 11 (თვე/*Month*) 2017 (წელი/*Year*)

რექტორი *Rector* — არჩილ ფრანგიშვილი *Archil Prangishvili*

ბ.ა. *Seal*

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
LEPL GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
211349192